ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსს
ქალბატონ ელენე დუმბაძეს

ქალბატონო ელენე,

წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად.

დანართი: (9 ფურცელი).

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 10 ფურცელი
№ 10/18527 02.11.15წ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის ბატონი გიორგი ალიბეგაშვილის

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

თბილისი 2015

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ მე-5 მოწვევის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი, საკრებულოს განათლებისა და კულტურის და სარევიზიო კომისიების წევრი.

მოგეხსენებათ, თბილისის საკრებულო გახლავთ დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განიხილავს, განსაზღვრავს და ამტკიცებს დედაქალაქის მართვის პოლიტიკას. დედაქალაქში მხოლოდ თბილისის საკრებულოა უფლებამოსილი ორგანო, რათა მიიღოს ნორმატიული აქტები დაადგინოს სამოქმედო წესები. საკრებულო ითანხმებს და ამტკიცებს თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, განიხილავს და ამტკიცებს დედაქალაქის მთავრობის და მერის მიერ წარმოდგენილ პროექტებს, დედაქალაქის ბიუჯეტს. საკრებულო ასევე მონიტორინგს უწევს დედაქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობას, დამტკიცებული პროექტებისა და ბიუჯეტის თანხების მიზნობრივად განკარგვას და აწარმოებს მის მონიტორინგს.

ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომების, ბიუროების და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა

- 2015 წელს ჩატარდა საკრებულოს 26 სხდომა, ბიუროს 40 სხდომა, ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ 16 სხდომა.
- მიღებულია 415 განკარგულება, 113 დადგენილება.

- # კომისიური მუშაობა
- განათლებისა და კულტურის კომისიას 2015 წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 32 სხდომა და განხილული აქვს 61 საკითხი, რომელთაგან გამოვყოფ რამდენიმე მათგანს: ჩემი უშუალო ინიციატივაა კულტურულ საზოგადოებრივ მოღვაწეთა ძეგლებისა და მემორიალური დაფების თბილისში განთავსების შესახებ წესის შემოღება.
- სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ერთ ბავშვზე/ აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ბავშვის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცება.
- ჩვენი ძალისხმევით მოხდა ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ გამოცემის ხელშეწყობა, რომელშიც პერიოდულად იბეჭდება აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნილი ნაწარმოებები და ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.
- საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისი 2015“-ის ჩატარებას, რომელიც თავისი ფორმატით ქართულ სახელოვნებო სივრცეში მართლაც ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს და ხელოვნების არაერთ სფეროს მოიცავს. ამასთან, კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუიძლია. კონკურსის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდები, და ზოგადად, ნიჭიერი ადამიანები და ხელი შეუწყოს მათი ცოდნის რეალიზებას. კონკურსი „თბილისობის“ დღესასწაულის პროგრამაშია გათვალისწინებული.
- მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალური საკონცერტო და საკონფერენციო დარბაზის კონცეფციაზე.
- სარევიზიო კომისიას 2015 წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 13 სხდომა. ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების, სსიპ-ებისა, შპს-ებისა და ააიპ-ების სახით 313 სამსახური ირიცხება. აღნიშნული სამსახურების საბიუჯეტო თანხებისა და მიღებული შემოსავლების ხარჯვის კანონიერების და მიზნობრიობის შემოწმებას სარევიზიო კომისია ახორციელებს. 2014 წლის მეორე ნახევრიდან 2015 წლის მიმდინარე პერიოდამდე სარევიზიო შემოწმება 80 ორგანიზაციაში ჩატარდა, მაშინ, როდესაც წინა წლებში სულ 29 ორგანიზაცია შემოწმდა. შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევები ძირითადად სისტემურ ხასიათს ატარებს, რაც მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით არის განპირობებული. შეიცვალა მიდგომები, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ახალი სამოქმედო წესები, რამაც საკმაოდ შეამცირა საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა.

მოქალაქეებთან შეხვედრები

- საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია 5185 განცხადება. განცხადებებზე კანონმდებლობისა და კომპეტენციის კუთხით მოხდა სათანადო რეაგირება, უდიდესი ნაწილი შუამდგომლობის შედეგად დაკმაყოფილდა შესაძლებლობის ფარგლებში, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა.
- ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი კვირის ოთხშაბათს მოქალაქეებთან შეხვედრა. წლის დასაწყისიდან დღემდე გაიმართა შეხვედრა 1040 მოქალაქესთან, რაც ითვალისწინებს მათი პრობლემების გაცნობასა და შემდგომ მოგვარებას. ძირითად საჭიროებებად იკვეთება ინფრასტრუქტურული, სოციალური და დასაქმების პრობლემები. ქალაქის მთავრობასთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა, როგორიც არის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და გზის საფარის მოწესრიგება, ავარიული სახლების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ჩვენი დედაქალაქისათვის. გარდა მოქალაქეებთან საკრებულოში შეხვედრებისა , აქტიურად ვახორციელებ გასვლით შეხვედრებს დედაქალაქის ათივე რაიონში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად. აღნიშნული შეხვედრები ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეებისათის აქტიური საკითხების უკეთ გაცნობას, დედაქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმებისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათ შემდგომ ასახვას 2016 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, მიღება და შემდგომი შესრულების კონტროლი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ქალაქ თბილისის მთავრობასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ დედაქალაქის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. პერიოდულად ვაწარმოებთ მერიის სამსახურების ანგარიშის მოსმენას, ვიძლევით რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს. სწორედ ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგია ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება, კომუნალური სუბსიდირების პროგრამები, „ცხელი სადილის“ პროგრამა, მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა, მუნიციპალური საავადმყოფოს მშენებლობის კონცეფციის შემუშავება.

ჯანდაცვის კუთხით განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც სხვადასხვა პროგრამების სახით იყო გათვალისწინებული 2015 წლის ბიუჯეტში.

- საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც მოიცავს ონკოპრევენციის პროგრამის, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის,

ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელების წესებს.

- საკრებულოს მიერ დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა". აქვე აღვნიშნავ, რომ დედაქალაქის მერია და საკრებულო ურთიერთთანამშრომლობით მოქმედებს შშმ პირებთან მიმართებაში. ეს გამოიხატება მათთვის ადაპტირებული გარემოს არსებობაში, როგორებიცაა პანდუსები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტები. ასევე მათ სრული თავისუფლება აქვთ ჩაერთონ საკრებულოს ცხოვრებაში და დაესწრონ სხდომებს.
- დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანასების განხორციელების წესი.
- ასევე მნიშვნელოვანია „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი.
- საკრებულოს წევრები აქტიურად ჯრიან ჩართულნი სახელმწიფო საქველმოქმედო ფონდ „სოლიდარობის" საქმიანობაში.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, დამტკიცებული იქნა წესი სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ.
- დედაქალაქის მერიასთან ერთად შევიმუშავეთ და შემდგომ საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესი". 13-14 ივნისს დედაქალაქში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად მოსახლეობის დახმარებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამები და გამოიყო ¡დამატებითი თანხები. მიღებული იქნა წესი, რომელმაც მოახდინა დაზარალებულთა კლასიფიცირება, რათა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მოხდეს თითოეული ოჯახისათვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სათანადო ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ ასეთი საკითხის სამართლებრივი რეგულაცია პირველად შემუშავდა ბოლო წლების განმავლობაში.
- მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაქმნელად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დედაქალაქის მდგრად განვითარებას და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2015 წლის ბიუჯეტში ჩიდო 2 მილიონ 300 ათასი ლარი. გამოცხადებული იქნა კონკურსი, რომლის მუშაობაშიც აქტიურად მივიღე მონაწილეობა. გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია. უახლოეს მომავალში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-

ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

- 2015 წლის ბიუჯეტით გაიზარდა დაფინანსება "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის", რომელიც მიზნად ისახავს მისი ეფექტიანობის გაზრდას, ბინათმესაკუთრეებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარებას, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვას და პროგრამის პროცესის გამარტივებას. წარმოდგენილი ცვლილებები ხელს უწყობს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლოატაციასა და განვითარებისათვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსებას. აღნიშნული ცვლილებით შენობის ან მისი შემადგენელი ელემენტის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებზე ამხანაგობის პროცენტული მონაწილეობა 15%-დან იკლებს 10% მდე, ამასთან, ორსართულიანი და ხუთსართულიანი შენობების გამაგრებისათვის გამოყოფილი დაფინანსება არსებული 10 000 ლარის ლიმიტიდან იზრდება 100 000 ლარამდე, რაც უფრო მეტ ბინათმესაკუთრეს მისცემს საშუალებას ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა დედაქალაქის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც პასუხობს შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- შემუშავდა ცხოველთა დაცვის წესი.

სტრატეგიის განხორციელებით მიიღწევა მთავარი მიზანი, „თბილისი მწვანე ქალაქი", რაშიც იგულისხმება მისი ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად გადაქცევა და მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

დედაქალაქის საკრებულო აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობაში. სწორედ ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა საგადასახადო შეღავათები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე, რაც მხოლოდ სიმბოლური გადასახადით გამოიხატება. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა, რათა რაც შეიძლება უფრო მეტი ადამიანისათვის იყოს ხელმისაწვდომი აღნიშნული შესაძლებლობა.

ეს არის მცირე ჩამონათვალი ჩვენს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სრული ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დაწვრილებით და დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. www.tbsakrebulo.gov.ge

მონაწილეობა სხვადასხვა შეხვედრასა და აქტივობაში:

2015 წლის ზაფხულიდან საკრებულოში მუშაობას შეუდგა მუნიციპალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან მერი, ვიცე-მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე და კოალიციაში შემავალი ფრაქციების წრმომადგენლები. საბჭოს მუშაობის ფორმატში მოხდა მერიასა და საკრებულოს შორის ინფორმაციის გაცვლა და დედაქალაქის განვითარებისათვის ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.

ინვესტიციების მოზიდვისა და შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით საკრებულოში ვმასპინძლობთ უცხო ქვეყნების დელეგაციებს. უახლოეს პერიოდში ვუმასპინძლეთ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუს დელეგაციას, ვიცე მერის ზენგ კაიზენგის ხელმძღვანელობით. შეხვედრა ორ დამეგობრებულ ქალაქს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ივნესტიციების მოზიდვას ითვალისწინებდა. ასევე ვუმასპინძლეთ დელეგაციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. კუიტუნიდან.

გაიმართა შეხვედრა გერმანელ ბიზნესმენთა დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა კომპანია "Geo mar energy"-ის დირექტორატი.

საკრებულოს წევრებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გავმართე USAID-ის წარმომადგენელთან-იაროსლავა ზაპლეტალოვასთან.

საკრებულოში ვუმასპინძლეთ ევროპის კვირეულის ოფიციალური გახსნის ცერემონიას.

მივიღე მონაწილეობა ლიტვის დამოუკიდებლობის 25 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

მოეწყო შეხვედრა ჩეხეთის საელჩოში და შემდგომ ვუმასპინძლეთ დელეგაციას საკრებულოში.

საკრებულოში გაიმართა პოლონეთის სრულუფლებიან ელჩთან-ანჟეი ჩიშკოვსკისთან შეხვედრა.

აქტიურად ვარ ჩართული ფრაქცია "ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოსთან" არსებული ეროვნულ უმცირესობათა საკორდინაციო საბჭოს მუშაობაში. საკრებულო

ეფექტურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საკრებულოში მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის სექტემბერში საკრებულოს წევრთა წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მივიღე პოლონეთში, ქ. კრინიცაში XXV მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში. შევხვდით ქ. კრაკოვის ვიცე-მერს. საუბრის თემა ტურიზმისა და სკოლამდელ აღსაზრდელთა დაწესებულებების სისტემის განვითარებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სპორტული კომპლექსებისა და სკოლების ფინანსირებას შეეხებოდა. ეკონომიკური ფორუმის საორგანიზაციო ჯგუფისაგან მივიღეთ შემოთავაზება, რომ 2016 წელს დაგეგმილი კრაკოვის ეკონომიკური ფორუმის პროგრამის ფარგლებში თბილისს გამოეყოფა ცალკე პავილიონი, სადაც შესაძლებელი იქნება ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სახალხო რეწვის ნიმუშების, ხალხური შემოქმედებისა და სხვ. წარმოდგენა. ეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოში განავითარებს ტურისტულ ინდუსტრიას და მოიზიდავს ინვესტიციებს. ამ კუთხით მუშაობის ინტენსიური გაფართოება განსაკუთრებით უწყობს ხელს საქართველოს ურთიერთობის გაძლიერებას როგორც ევროკავშირის, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

საქართველოს მთავრობის წევრებთან და დედაქალაქის მერთან ერთად მონაწილეობა მივიღე „აბრეშუმის გზის" ფორუმში. ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით „აბრეშუმის გზის" ფორუმი უპრეცენდენტოა. ფორუმი საქართველოში ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. ფორუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსიები შემდეგ თემებზე:

- აბრეშუმის გზის აღორძინება-ვაჭრობის და ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები;
- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა;
- სავაჭრო პროცედურების გაადვილება აბრეშუმის გზის გასწვრივ ძირითადი საკითხების დაძლევა-ჰარმონიზაციისათვის;
- აბრეშუმის გზის ენერგია: მილსადენები და ელექტროენერგიით ვაჭრობა საზღვარგარეთ;
- საინვესტიციო შესაძლებლობების მოპოვება.

ჩვენმა დედაქალაქმა 14-15 მაისს მეტად მნიშვნელოვან EBRD-ს ღონისძიებას უმასპინძლა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში საქართველოს 60-ზე მეტი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია ეწვია. ამ ღონისძიების აქ ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის. ეს ხელს შეუწყობს ბევრი ინვესტიციის მოზიდვას და მის განხორციელებას სხვადასხვა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ქვეყანამ წელს პირველად წარმატებით უმასპინძლა რიგით მე-13 ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს „თბილისი-2015“. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 50 ქვეყნის წარმომადგენელმა. ეს იყო მნიშვნელოვანი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ძალიან მოკლე დროში განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, კეთილმოეწყო და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თავად მივიღე მონაწილეობა ათენიდან სამშობლოში ოლიმპიური ცეცხლის ჩამოტანაში. ოლიმპიურმა ცეცხლმა მთელი საქართველო შემოიარა და ბოლოს დედაქალაქის გულში თავისუფლების მოედანზე აინთო. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ მზად ვართ, მომავალშიც ვუმასპინძლოთ ასეთი მაღალი დონის ღონისძიებებს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის სახელოვან მოჭადრაკეებსა და მორაგბეებს, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს მსოფლიო ასპარეზზე და ვუსურვო მათ ახალი გამარჯვებები.

2014 წლის 23 ნოემბერს ჩვენი ინიციატივით საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა 1964 წლის საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული "დინამო თბილისის" ოქროს ბიჭების 50 წლის იუბილე.

აქტიურად ვმონაწილეობ კულტურულ ღონისძიებებში, რომლებიც იმართება არა მარტო დედაქალაქის საკრებულოში, არამედ მთელი ქალაქის მასშტაბით. თბილისობის დრესასწაულზე ინგლისელი და-ძმის ოლივერ და მარჯორი უორდროპების ძეგლის გახსნაში მივიღე მონაწილეობა. ინგლისელ დიპლომატს, მოგზაურსა და მთარგმნელს ოლივერ უორდროპს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ქართული კულტურისა და პოეზიის მსოფლიო ასპარეზზე გატანაში.

დედაქალაქის მერთან და ჩეხეთის ელჩთან ერთად ქართული ხალხური სიმღერის პირველი გუნდის ლოტბარის იოსებ ნავრატილის მემორიალური დაფა გავხსენი. ასევე მონაწილეობა მივიღე ალექსანდრე ქართველის სახელობის სკვერის გახსნაში, რომლის ღვაწლის დასაფასებლად და სახელის უკვდავსაყოფად საავიაციო ქარხნის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ცნობილი ავიაკონსტრუქტორის სახელის მინიჭებას საკრებულოს სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დედაქალაქის საკრებულო რეგულარულად მასპინძლობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებშიც შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცის ეშსახურება. მათ მხოლოდ ნაწილს ჩამოვთვლი: საკრებულოს ინიციატივით გაიმართა შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც უსინათლოთა კავშირის, ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლები და საკრებულოს დეპუტატები მონაწილეობდნენ. სულ ახლახან კი საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის დარბაზში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს

ვუმასპინძლეთ. შეხვედრას რაგბის ქომაგი ბავშვები ესწრებოდნენ, მათ შორის იყვნენ ᲨᲨᲛ მოზარდებიც.

მიმდინარე და სამომავლო გეგმები

ანგარიშის ბოლოს მინდა მოკლედ შევეხო სამომავლო გეგმებს. ჩემთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობაა ჩვენი ქალაქის და იმ გუნდის წინაშე, რომელმაც ეს ნდობა გამომიცხადა. თბილისელების წინაშე მდგარ გამოწვევებს კარგად ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, მათი მოგვარება ეკონომიკურად ძლიერი დედაქალაქის პირობებშია შესაძლებელი. საბედნიეროდ,როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნები ჩვენით სულ უფრო მეტად ინტერესდებიან, ეს კი მეტი ინვესტიციის მოზიდვის წინაპირობაა. მასშტაბური პროექტების განხორციელება ჩვენი დედაქალაქისათვის უდაოდ მნიშვნელოვანია, რათა მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას და მოსახლეობა დასაქმდეს.

მიმდინარე ეტაპზე საკრებულო აქტიურად მუშაობს 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაზე, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დედაქალაქის მაცხოვრებელთა საჭიროებები და ამავდროულად მასში აისახება მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტები, რაც გამოიწვევს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქის ტურისტული პოტენციალის ათვისება. ამ კუთხით საკრებულოს მხრიდან კულტურული მეწარმეობის მხარდაჭერა მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია. უმნიშვნელოვანესია ოლიმპიური ობიექტების გამოყენება საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ცნობადობის კიდევ უფრო გაზრდას, ტურისტული ინდუსტრიის ხელშეწყობას და განვითარებას.

მოგეხსენებათ, რომ ერთი წლის განმავლობაში მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით. გარემონტდა შენობები, დავიწყეთ ახალი თანამედროვე სტანდარტების ბაღების მშენებლობა, დავამატეთ ახალი ჯგუფები, გავაუმჯობესეთ აღსაზრდელების კვების რაციონი, გამკაცრდა ჰიგიენური ნორმების დაცვა. გაუქმდა გადასახადი. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა. ჩვენი ამოცანაა, წინა ხელისუფლების დროს გასხვისებული ბაგა-ბაღები, რომლებიც მძიმე პრობლემად აისახა მოქალაქეებზე, დავუბრუნოთ პატარებს. რამდენიმე მათგანის დაბრუნება უკვე შევძელით. ასევე საფუძველი ჩავუყარეთ ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობას, რომლებიც უახლოეს მომავალში შევა ექსპლუატაციაში.

მომავალი წლიდან იგეგმება ქალაქის მუნიციპალური ავტოპარკის განახლება და დასუფთავების სამსახურის რეფორმირება.

იმედს გამოვთქვამ, რომ ახალი 2016 წელი ჩვენი დედაქალაქისთვის მასტაბური პროექტების განხორციელების წელი იქნება.